ᲒᲐᲣᲛᲐᲠᲯᲝᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ — ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲜᲓᲝ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚ ᲠᲔᲖᲔᲠᲕᲡ, ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲖᲛᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲠᲐᲖᲛᲡ!

ᲡᲙᲙᲞ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 213
(7524)

6
1983 წ.
ნოემბერი.
კვირა.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის
1934 წლის
18 აპრილიდან

ᲡᲐᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲝᲓ!

●

ᲐᲮᲐᲚ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲨᲘ

როგორც ვიუწყებოდით, წინასაოქტომბრო დღეებში თბილისელებმა მშვენიერი საჩუქარი მიიღეს — დიღმის მასივში, № 147-ე საშუალო სკოლასთან გაიხსნა სპორტული კომპლექსი 2 დარბაზით, 25-მეტრიანი საცურაო აუზით, ღია სპორტული მოედნით...

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოს კი აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სპორტულ-გამაჯანსაღებელი კლუბი „დილა".

სპორტის მოყვარულებს უთუოდ ახსოვთ, რომ „დილა" ადრეც არსებობდა და წლების განმავლობაში ემსახურებოდა მშრომელთა ჯანმრთელობის გაკაჟების საქმეს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში „დილამ" არსებობა შეწყვიტა. ამის შესახებ არაერთხელ დაიწერა, საკითხი განიხილა საქართველოს სპორტკომიტეტთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობის შემდგომი ამაღლების და მშთ კომპლექსის განვითარების მთავარმა რესპუბლიკურმა შტაბმა. და ახლა, დიღმის მასივში პირველი მაისის რაიონის სასკოლათაშორისო საცურაო კომპლექსის გახსნის შემდეგ, რაიონის სპორტკომიტეტმა, კომპლექსის დირექციამ და დიღმის მიკროსაბჭომ გადაწყვიტეს ამ უაღრესად საჭირო კლუბის აღორძინება.

გუშინ საცურაო კომპლექსში გაიმართა გამაჯანსაღებელი სპორტული კლუბის აღორძინებისადმი მიძღვნილი საინტერესო სპორტული ღონისძიებები: ჩატარდა ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში, სინქრონული ცურვის ოსტატთა საჩვენებელი გამოსვლები, შეჯიბრებები მინიფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ცურვაში. კლუბის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩიეს საცურაო კომპლექსის დირექტორი ო. ურუშაძე. გამგეობის წევრებმა გვითხრეს, რომ ისინი მუშაობის დროს ნაყოფიერად გამოიყენებენ საცურაო აუზს, იქვე მდებარე თბილისის განათლების განყოფილების სპორტულ კომპლექსს, დიღმის ტყეპარკს. ერთი სიტყვით, კლუბი ჯანმრთელობის შესანიშნავ კერად გადაიქცევა.

Გ. ᲩᲝᲩᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲐᲓᲒᲘᲚᲖᲔ — ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ

ᲤᲝᲗᲨᲘ, მდინარე კაპარჭინაზე ორ დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობა აკადემიურ ნიჩბოსნობაში 1966-1968 წ. წ. დაბადებულ გოგონებსა და ჭაბუკებს შორის. სარბიელზე აჭარის, აფხაზეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთისა და მცხეთის 100-მდე ნიჩბოსანი გამოვიდა, გოგონები ძალებს ხუთ სახეობაში ცდიდნენ, ჭაბუკები კი ექვსში.

წარმატებით იასპარეზეს თბილისელებმა — განათლების სამმართველოს ბავშვთა სპორტული სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელებმა. მათ თერთმეტიდან ცხრა სახეობაში გაიმარჯვეს, მხოლოდ ერთადგილიანი და ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი ნავებით ვაჟთა რბოლაში აჯობეს მცხეთელმა და ფოთელმა სპორტსმენებმა.

თბილისელ გოგონათა მესაჭიანი ოთხიანის — ე. ნაცვლიშვილის, ი. გუბელაშვილის (ორივე — „განთიადი"), ლ. ბახტაძისა და ნ. ამილახვარის (ორივე — „კოლმეურნე") ეკიპაჟის წევრებმა 1000 მეტრზე 21 წამით ჩამოიტოვეს მეორე ადგილზე გასული ქუთაისელი ნიჩბოსნები. თბილისელმა გოგონებმა (ი. პანკოვა, ი. ბარამიძე, ქ. გობჩა, ს. მნაცაკანოვა და დ. კურატიშვილი) გასაშლელი ოთხიანით რუსთაველ სპორტსმენებს 1.09 წუთით, ხოლო ბათუმელებს — 1 წუთითა და 42 წამით გაუსწრეს.

ასევე დიდი სხვაობით მოიგეს თბილისელებმა ი. ბულიგინამ და დ. გიგაურმა (ორივე — „კოლმეურნე") შეჯიბრება წყვილმოსასმელიანი ორადგილიანი ნავით. მათ უკან ჩამოიტოვეს რუსთაველი და ბათუმელი ნიჩბოსნები. თბილისელებმა ა. კესოვამ და ლ. ნარიკაშვილმა (ორივე — „განთიადი") 10 წამით უკეთესი შედეგი აჩვენეს მეორე ადგილზე გასულ ქუთაისელ დ. ბერაძესთან და შ. ქორქოლიანთან შედარებით.

ერთადგილიანი ნავებით რბოლაში კარგად იასპარეზა ი. ამილახვარმა („კოლმეურნე"), რომელმაც 1000-მეტრიანი დისტანცია 4.25,6 წამში დაფარა. მეორე ადგილზეა სოხუმელი დ. გრებია („სპარტაკი") — 4.38,6, მესამეზე — ქუთაისელი გ. ფედინა („განთიადი") — 4.40,6.

ჭაბუკებში 1500 მეტრზე მოსაპარეზე მესაჭიან „ოთხიანებში" ტოლი არ ჰყავდათ თბილისელებს გ. და მ. ჩიქობავებს, გ. გოგუაძეს, შ. ბერიძეს და მესაჭე ხ. ფარეშვილს (ყველა — „კოლმეურნე"). ისინი სტარტიდანვე დაწინაურდნენ და დიდი მანძილით ჩამოიტოვეს საპრიზო ადგილებზე გასული ქუთაისელი და რუსთაველი სპორტსმენები. თბილისელმა ნიჩბოსნებმა გ. ხორბალაძემ, ვ. გუჩაშვილმა, გ. ბანეთაშვილმა და ვ. ოსაძემ (ყველა—„კოლმეურნე") გასაშლელი ოთხიანით ქუთაისელთა გუნდს 18 წამით, ბათუმელებს კი 29 წამით მოუგეს.

მესაჭიანი ორიანებით თბილისელმა სპარტაკელებმა ბ. მარგიევმა, ბ. კოხისოვმა და მესაჭემ გ. ელყანიშვილმა პირველებმა გადაკვეთეს ფინიშის ხაზი. უმესაჭო ორიანებით რბოლაში პირველობა არავის დაუთმეს პ. სიხარულიძემ და კ. სანიკიანმა (ორივე — „კოლმეურნე"). წყვილმოსასმელიან ორიანებში იმარჯვა ფოთელთა დუეტმა — ე. შჩეტინინმა და გ. კოზირიამ (ორივე — „ვოდნიკი").

საერთო გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი — 102 ქულა, 2. ქუთაისი — 69, 3. ფოთი — 57, 4. რუსთავი — 47, 5. ბათუმი — 38, 6. სოხუმი — 19, 7. მცხეთა — 10 ქულა.

მთლიანი შემადგენლობით მხოლოდ თბილისის, ქუთაისის, რუსთავისა და ფოთის გუნდები გამოვიდნენ. აჭარიდან 14 მონაწილე ჩამოიყვანეს, აფხაზეთიდან — 10, ხოლო მცხეთიდან — 3 (!).

რუსთავის გუნდმა, მიუხედავად სრული შემადგენლობისა, ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღო... ოთხ სახეობაში.

სამწუხაროდ, შეჯიბრების ორგანიზაცია არ იდგა მაღალ დონეზე — ყოველგვარ საზეიმო ელფერს მოკლებული არაფრით განსხვავდებოდა ჩვეულებრივი ვარჯიშისაგან. ძალზე პრიმიტიულად გამოიყურებოდა ფინიშის ჯიხური, 1000-მეტრიან დისტანციაზე არ იყო სასტარტო ნიშანი, არც ნომრები იყო საკმარისი, რის გამოც მსაჯთა კოლეგიას უჭირდა მოასპარეზეთა გამოცნობა ფინიშთან.

— ასპარეზობით ძალზე უკმაყოფილო ვარ, — გვეუბნება შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გარი ჭელიძე. — არც სანიჩბოსნო ბაზაა სათანადოდ მომარაგებული და არც ნავები გვაქვს საჭირო რაოდენობით.

Ლ. ᲮᲔᲪᲣᲠᲘᲐᲜᲘ,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი. („ლელოს" სპეც. კორ.).
ფოთი.

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ

ᲤᲐᲠᲗᲝ საზოგადოებრიობა დიდი მოწონებით შეხვდა საქართველოს ჭადრაკის კულტურის სახალხო უნივერსიტეტის გახსნას. უნივერსიტეტმა ნაყოფიერად იმუშავა 1982-1983 სასწავლო წელს.

მსმენელებს ლექციები წაუკითხეს საქვეყნოდ ცნობილმა მოჭადრაკეებმა ნ. გაფრინდაშვილმა, მ. ბოტვინიკმა, მ. ტალმა, ტ. პეტროსიანმა, მ. ტაიმანოვმა, ა. სუეტინმა, ი. ავერბახმა და სხვ. უნივერსიტეტელები შეხვდნენ მსოფლიო ჩემპიონს ა. კარპოვს.

უნივერსიტეტის ორწლიან კურსს გაისად პირველი მსმენელები დაამთავრებენ, ახალ სასწავლო წელს მეტი ყურადღება დაეთმობა სემინარულ მუშაობას და ერთდროული თამაშის თემატურ სეანსებს, გაიზრდება საკლასიფიკაციო ტურნირების რაოდენობაც.

12 ნოემბერს, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება სახალხო უნივერსიტეტის 1983-1984 სასწავლო წლის პირველი მეცადინეობა. ლექციას თემაზე: „კატალონური დაცვა" წაიკითხავს მოსკოველი დიდოსტატი Ე. ᲒᲔᲚᲔᲠᲘ (დასაწყისი 16 ს.).

შემდგომისთვის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ლექციების წასაკითხად მოიწვია ცნობილი დიდოსტატები გ. კასპაროვი, ვ. სმისლოვი, ლ. პოლუგაევსკი, ი. ბალაშოვი, აგრეთვე ჩვენი ოსტატები ზ. აზმაიფარაშვილი, ი. ჩიქოვანი და სხვები.

მეცადინეობა თვეში ერთხელ გაიმართება.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲞᲠᲐᲕᲓᲘᲡ" ᲞᲠᲘᲖᲖᲔ

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ „მეტალურგის" სტადიონის სარბენ ბილიკებზე ჩატარდა 1969-70 წლებში დაბადებულ მოსწავლეთა საქალაქო პირველობა გაზეთ „პრავდის" პრიზზე. გოგონები ასპარეზობდნენ 1.000 მ-ზე. ყველას აჯობა მ. კოვალიოვამ (№ 1 საშუალო სკოლა). ბიჭებს შორის 2000 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა ლ. ავთანდილაშვილმა (21-ე საშუალო სკოლა).

Რ. ᲒᲐᲑᲠᲘᲭᲘᲫᲔ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: სტარტი აიღეს 2000 მ-ზე მორბენალმა ბიჭებმა; ფინიშს უახლოვდებიან 1000 მ-ზე მორბენალი გოგონები.

ავტორის ფოტოები.

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

რეკორდები შრომასა და სპორტში

დიდი ოქტომბრის დღესასწაულს მიუძღვნეს შემოდგომის სპარტაკიადა ხარკოვის ძრავების ქარხანა „სერპ ი მოლოტის" მშრომელებმა. კროსის ტრასაზე, ტირში, აუზზე, სათამაშო მოედნებზე ტოლი არ ჰყავდა მექანიკური საამწყობო საამქროს ბრიგადას, რომელსაც ვ. ბონდარენკო უდგას სათავეში. ბონდარენკოს კოლექტივის გამარჯვებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ბრიგადა არა მარტო ქარხანაში, არამედ რაიონშიც სამართლიანად ითვლება ყველაზე სპორტულად. ხარკოვში ერთ-ერთმა პირველმა მათ დაუჭირეს მხარი წამოწყებას — „მთელი ბრიგადით სტარტზე". აქტიურად მოჰკიდეს ხელი გამაჯანსაღებელ რბენას, ცურვას, თამაშობებს, მაგალითის მიმცემი ბონდარენკო გახლდათ. ენთუზიასტებმა აქტიურ ვარჯიშში ბევრი თანამშრომელი ჩააბეს.

ვარჯიშებმა შესამჩნევი გავლენა იქონია ბრიგადის შრომისნაყოფიერებაზე. ორ წელიწადზე მეტია რაც იგი „სერპ ი მოლოტის" შრომითი კოლექტივების სოციალისტურ შეჯიბრებაში იმარჯვებს. ამჯერადაც, კოლექტივმა უკვე შეასრულა წლიური ვალდებულებები. ამას კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა დაემთხვა: ვ. ბონდარენკო და მისი ამხანაგები გაზეთ „იზვესტიის" პრიზზე ფიზკულტურელთა დაუსწრებელი საკავშირო შეჯიბრების გამარჯვებულად აღიარეს ბონდარენკოს ბრიგადა „სერპ ი მოლოტის" უდავო სპორტული ლიდერია, მაგრამ რაც დრო გადის, გამარჯვებების მოპოვება უძნელდება. საქმე ისაა, რომ ქარხანაში ბოლო დროს შესამჩნევად გაიზარდა ფიზკულტურელთა არმია. ცვლის დამთავრების შემდეგ საწარმოს მყუდრო სტადიონის ბილიკებზე, მრავალრიცხოვან დარბაზებში მუდამ ხალხმრავლობაა. საწარმოში სპორტის პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ შემოდგომის სპარტაკიადაში ქარხნის 20 ათასზე მეტმა მშრომელმა და მათმა ოჯახის წევრებმა მიიღო მონაწილეობა.

მშთ ნიშნოსანი ყოველი მეორე

თურქმენეთის ქალაქ ბეზმეინში დევიზით „მშთ ნიშნიდან— ოლიმპიურ მედლამდე!" ჩატარდა სხვადასხვა უბნელი ბავშვებისა და მოზარდების სპარტაკიადა. საუკეთესო სპორტულ ბაზებზე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სისწრაფესა და მოქნილობაში, ძალასა და გამძლეობაში. სპარტაკიადისთვის კარგად მოემზადა ენერგეტიკოსთა მეგობრული კოლექტივი, რომელიც საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველი იყო სპორტის ოთხ სახეობაში: მშთ მრავალჭიდში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკსა და ფეხბურთში.

სპარტაკიადის ფინალურ სტარტებში 150-ზე მეტი ბავშვი მონაწილეობდა. ყოველმა მეორემ მშთ კომპლექსის ნორმატივი შეასრულა.

ბეზმეინს სამართლიანად უწოდებენ სპორტულ ქალაქს. ახლახან აქ, სახალხო მშენებლობის მეთოდით აშენდა სტადიონი „იუნოსტი", რომელიც ბეზმეინელი ენერგეტიკოსების, მშენებლობების, მეცემენტეების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკების, სკოლებისა და პროფტექსასწავლებლების მოსწავლეთა საყვარელ ადგილად იქცა.

ამჟამად ბეზმეინში, 20-ზე მეტ სპორტულ მოედანზე, სტადიონსა და მარტივი ტიპის სპორტულ ნაგებობაში რეგულარულად ტარდება შეჯიბრებები — „მხიარული სტარტები", „მამა, დედა და მე — სპორტული ოჯახი", „მთელი ბრიგადით — სტადიონზე" „ჯანმრთელობის დღეები" და სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები.

საკდესი.

მოსკოვის ლენინის ორდენოსანი საათების № 1 ქარხნის კოლექტივის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია ფიზკულტურა და სპორტი. 13 სპორტულ სექციაში 3000-მდე კაცი ვარჯიშობს. აქ ძალზე პოპულარულია მძლეოსნობა, ფრენბურთი, კალათბურთი, ცურვა, ფეხბურთი...

ვარჯიშობენ ქარხნის მოთხილამურეები. მარცხნივ — მწვრთნელი მ. ენჩიკოვი.

საკდესის ფოტო.

თქვენი აზრი?

სპორტულ ექიმს მოეთხოვება...

ცნობილია თუ რა დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურასა და სპორტში სისტემატური ვარჯიშის გზით საბჭოთა ხალხის ჯანმრთელობის განმტკიცებას. ფიზკულტურა და სპორტი ფართოდ შეიჭრა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში, ვარჯიშობენ დამოუკიდებლად, გაერთიანებული არიან ჯგუფებში, კლუბებში. მაგრამ ექიმის მეთვალყურეობის გარეშე ვარჯიში ზოგჯერ ზიანი მოაქვს და ამიტომ, მართალია, პრობლემის გადაჭრის პრეტენზია არ გვაქვს, მაგრამ გვსურს ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ საექიმო ფიზკულტურის სამსახურის ფუნქციების გაფართოების შესახებ.

თანამედროვე საექიმო-ფიზკულტურული სამსახური ჩვენს ქვეყანაში სამამულო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა. მის ძირითად სტრუქტურულ ერთეულად კვლავინდებურად ითვლება საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერები, რომელთა რაოდენობა ამ ხნის მანძილზე მნიშვნელოვნად გაიზარდა — მათთვის გამოყოფილია თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი შენობები, ეფექტურად ფუნქციონირებს ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების სისტემა, ტარდება დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. ბევრი უცხოელი სპეციალისტის აღიარებით ჩვენი საექიმო-ფიზკულტურული სამსახური ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში. ოღონდაც, საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერების მუშაობა უკვე ვეღარ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის დაცვის დღევანდელ მოთხოვნებს. განვიხილოთ ეს თემა დეტალურად.

როგორც ცნობილია, საექიმო-ფიზკულტურული დისპანსერების მუშაობაში ძირითადია სპორტში მომეცადინეთა საექიმო კონტროლი და სამკურნალო ფიზკულტურა. პირველთანრიგოსან სპორტსმენთა საექიმო კონტროლი ფართოდაა დამკვიდრებული უმრავლეს დისპანსერთა მუშაობაში, მაგრამ ისინი საკმარისად არ იყენებენ თანამედროვე დიაგნოსტიკის შესაძლებლობებს. ჩვენი აზრით, გადაწყვეტილების მიღებისას დაუშვან თუ არა სპორტსმენი ვარჯიშზე, აგრეთვე ვარჯიშის დროს, უფრო მეტი ყურადღებით უნდა სინჯავდნენ ბავშვებსა და მოზარდებს, მათ ღვიძლს, თირკმელებს, სისხლძარღვთა სისტემას, ხერხემალს, უნდა შეძლოთ სახსრების, ნერვული სისტემის, ფილტვების დაფარული კომპენსირებული დარღვევების აღმოჩენა, ექიმები ზერელედ ამოწმებენ იმუნური და ენდოკრინული სისტემის მდგომარეობას. ჩვენ განგებ არ ვახსენებთ გულ-სისხლძარღვთა სისტემას, ვინაიდან სპორტული კარდიოლოგიის საკითხებს შედარებით დიდი ყურადღება ექცევა.

სპორტულ ექიმებს მოეთხოვებათ არა მარტო დიაგნოსტიკური კონტროლის გაუმჯობესება და ვარჯიშზე დაშვების საკითხის გადაწყვეტა, არამედ აღდგენითი საშუალებების (ფიზიოთერაპია, მასაჟი, მედიკამენტები, კვება და სხვ.) გამოყენებით მკურნალობისა და პროფილაქტიკის მეთოდების სრულყოფა; სავარჯიშო პროცესში მათი დანერგვა, მის მართვაში აქტიური მონაწილეობა.

სპორტული ექიმები არასაკმაოდ არიან მომზადებული და სუსტად ერკვევიან ისეთ საკითხებში, როგორიცაა ვარჯიშსა და შეჯიბრების დროს ტრავმების თავიდან ასაცილებლად გამოყენებული მოთელვის შინაარსი და მეთოდიკა, კერძოდ, პროფილაქტიკის მიზნით, მოთელვის დროს მასაჟის, თვითმასაჟის, კუნთების დაჭიმვისთვის სპეციალური ვარჯიშების გამოყენება.

სპორტსმენთა სპორტული ოსტატობის ამაღლებისათვის ხელის შეწყობის მიზნით ექიმმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სპორტულ დატვირთვათა დაგეგმვაში, ამისთვის კი აუცილებელია იცოდეს ვარჯიშის სტრუქტურა და შინაარსი, მისი მოცულობა, ინტენსივობა, ვარჯიშის ხასიათი, თანმიმდევრობა; შეეძლოს მიზანმიმართულად დანიშნოს საშუალებები, რომელიც შეამცირებს ტრავმატიზმს და საყრდენ-სამოძრაო აპარატის დაძაბვას, მნიშვნელოვნად გაზრდის სპეციალურ შრომისუნარიანობას ვარჯიშის მეორე ნახევარში.

სპორტული ექიმები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სპორტსმენთა კვების თავისებურებებს, რაც მნიშვნელოვან როლს ასრულებს აღდგენითს და წვრთნის გაუმჯობესების პროცესში, სპორტსმენთა ავადმყოფობის პროფილაქტიკაში. ბევრი სპორტსმენთა სამედიცინო ბიოლოგიური უზრუნველყოფის პრაქტიკაში არ ნერგავს ვიტამინებისა და მინერალების დეფიციტის ლიკვიდაციის მეთოდებზე არსებულ თანამედროვე რეკომენდაციებს. ორგანიზმის ენერგეტიკული ექვივალენტის და ბალანსირების შესანარჩუნებლად საჭიროა ვიტამინებისა და მინერალების ზუსტი დოზირება, კვებაში ნახშირწყლების, ცხიმებისა და ცილოვანი ნივთიერებების სწორი გამოყენება. ამასთან, მიუხედავად დღიური ენერგოხარჯვის მნიშვნელოვანი ცვალებადობისა, ყოველდღიური რაციონის ენერგეტიკული ღირებულება შედარებით მუდმივი უნდა იყოს. იგი უნდა განისაზღვროს მიკროციკლში ენერგიის ხარჯვის საშუალო გამოანგარიშების შემდეგ, ამრიგად, კვებისთვის გამონაკლისი არ იქნება ინტენსიური წვრთნის დღე, როცა ენერგოხარჯვა შეიძლება ორჯერ აჭარბებდეს დასვენების დღის ენერგოხარჯვას.

სპორტული ექიმები ამ საკითხებს არ აქცევენ სათანადო ყურადღებას, მაგრამ ჩვენი აზრით, ბევრ ისეთ სამუშაოს კი ასრულებენ, რომელთა მიზანშეწონილობა და სარგებლობა ჩვენს დროში საეჭვოა. ჩვენი აზრით, საჭიროა ოფიციალურად გაუქმდეს ლეტუნოვის ან სხვა ფუნქციონალური სინჯის აუცილებელი შესრულება უშუალოდ საექიმო კონტროლის ექიმის (სპორტული ექიმის) მიერ. ლეტუნოვის სინჯი, როგორც ცნობილია, არ იძლევა საკმარის ინფორმაციას გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციაზე, ხოლო რეაქციის პათოლოგიური ტიპი (ასტონიური, ჰიპერტონიული) მხოლოდ გულ-სისხლძარღვთა სისტემის ფუნქციის რეგულაციის დარღვევის არსებობაზე მიგვანიშნებს. იგი შეიძლება გამოვიყენოთ განსაკუთრებული მაჩვენებლების დროს, თუმცა მისი შესრულება სრული მოცულობით (სამმომენტიანი სინჯი), ერთმომენტიანთან შედარებით, პრაქტიკულად არაფერს იძლევა (მაგალითად, ჩაჯდომი). იგი შეიძლება მოვიშველიოთ (ერთმომენტიან ვარიანტში) ისეთ ვეგეტატიურ სინჯებთან ერთად, როგორიცაა ორთო და კლინოსტატიკური.

სპორტსმენთა ფუნქციონალური მდგომარეობა უნდა განისაზღვროს ფუნქციონალური დიაგნოსტიკის ლაბორატორიაში და არა საექიმო კონტროლის ექიმის კაბინეტში. ამასთან, მასობრივი თანრიგის სპორტსმენებისთვის. მიზანშეწონილია გამოვიყენოთ ნაკადური მეთოდით შესრულებული სუბმაქსიმალური სტეპ-ტესტები.

ფუნქციონალური მდგომარეობის დინამიკის ობიექტური შეფასებისთვის ტესტების შესრულებისას აუცილებელია საერთო წესების დაცვა, — დილით, უზმოზე, ლაბორატორიაში წინასწარი დასვენების შემდეგ და. სინჯის შესრულების მეთოდიკის წინასწარი დაუფლება — რაც ძალზე იშვიათია პრაქტიკაში.

ორგანიზმის ფუნქციონალური მდგომარეობის გამოკვლევა უნდა განვიხილოთ როგორც მეთოდი, რომელიც ფიზიკური დატვირთვისთვის ტოლერანტობის დონეს განსაზღვრავს და გამოავლენს ფარულ პათოლოგიას, რომელიც მნიშვნელოვანი ფიზიკური დატვირთვის შემდეგ იჩენს ხოლმე თავს (კორონარული უკმარისობა, ჰიპერტონიული სინდრომი).

მაღალი კლასის სპორტსმენთა ფუნქციონალური მდგომარეობის გამოკვლევა მიზანშეწონილია ჩატარდეს ნაკრები გუნდების დისპანსერიზაციისა და სამედიცინო უზრუნველყოფის განყოფილების კარგად აღჭურვილ სპეციალურ ლაბორატორიაში, ერგომეტრით, აირთა ცვლის, ბიოქიმიის, ჰორმონალური და იმუნური რეაქციის გამოკვლევით. ამ გამოკვლევათა მიზანი გახლავთ არა წვრთნადობისა და სპეციალური ფიზიკური მომზადების დონის დადგენა, არამედ, ფუნქციონალური მზადყოფნის მდგომარეობის, როგორც სპეციალური ფიზიკური მზადყოფნისა და წვრთნადობის ფორმირებისთვის საჭირო ბაზის განსაზღვრა. ბოლო ამოცანას მწვრთნელი პედაგოგიური კონტროლის საშუალებათა დახმარებით წყვეტს, ამიტომ სპორტსმენის ფუნქციონალური მდგომარეობის გამოკვლევა უნდა ჩატარდეს წელიწადში ორჯერ, დაახლოებით ნახევარწლიანი ციკლის დამთავრებამდე, ან საპასუხისმგებლო შეჯიბრებამდე 1,5-2 თვით ადრე.

ფუნქციონალური კვლევის შედეგები, ჩვენი აზრით, უნდა შეიცავდეს დასკვნას სამოდელო პარამეტრების ფაქტიური და დაგეგმილი მონაცემების შესაბამისობაზე.

დისპანსერთა მუშაობის მეორე მიმართულება, რომელიც ამჯერად შედარებით სუსტადაა წარმოდგენილი, მაგრამ ჩვენი აზრით, წამყვანი ადგილი უნდა ეჭიროს, არის იმ პირთა საექიმო კონტროლი, რომლებიც ფიზკულტურას, სპორტს, აქტიურ დასვენებას გაჯანსაღების მიზნით მისდევენ. ამასთან, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმას, რომ ამ კონტიგენტის საექიმო კონტროლი პრინციპულად განსხვავდება იმ სპორტსმენთა საექიმო კონტროლისაგან, რომლებიც ვარჯიშობენ რეჟიმში, უმაღლესი სპორტული მიღწევისთვის. საჭიროა სამედიცინო-სპორტული თვალსაზრისით ზუსტად გაიმიჯნოს მათი ამოცანები. დიდ სპორტში მთავარი ამოცანაა მაღალი სპორტული შედეგების მიღწევა კარგი ჯანმრთელობისა და მაღალი ფიზიკური მომზადების ფონზე, რომელთა შენარჩუნება აუცილებელია ამ მთავარი ამოცანის გადასაწყვეტად. ვარჯიშის მეთოდებს შეიმუშავებენ სპეციალისტი პედაგოგები და ექიმის მიზანია თვალყური ადევნოს, რათა სპორტსმენის ჯანმრთელობა არ შეირყეს. გამაჯანსაღებელი მიზნით ვარჯიშისა და მშთ ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებისას ვარჯიშების შინაარსი, თანამიმდევრობა და მათი დოზა უნდა დაადგინოს ექიმმა, ხოლო მასწავლებელ-ინსტრუქტორის ამოცანაა შეასრულოს ექიმის დანიშნულება. გამაჯანსაღებელ ფიზკულტურაში ექიმისა და მასწავლებლის დამოკიდებულება დაახლოებით ისეთი უნდა იყოს, როგორც იგი ტრადიციულადაა დამკვიდრებული სამკურნალო ფიზკულტურაში. ექიმმა უნდა დანიშნოს რა უფრო უპრიანია, ცურვა, რბენა, სიარული, ტანვარჯიში, თამაშები, ტურიზმი, თევზაობა თუ ჩოგბურთი, განსაზღვროს ვარჯიშის ინტენსივობა, ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით, ჯანმრთელობის განმტკიცებისთვის, გამძლეობის, ძალის, მოქნილობის, რეაქციის, მოძრაობის კოორდინაციის, სიცივის მიმართ გამძლეობის, პროფესიულ შრომისუნარიანობის გამოსამუშავებლად.

ექიმის ამ რეკომენდაციების გამოყენება შეიძლება სხვადასხვა ფორმით — ინდივიდუალურ, რბენის მოყვარულთა კლუბებში, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ კომბინატებში ვარჯიშის დროს.

გამაჯანსაღებელი ფიზკულტურის პრობლემა ადვილი გადასაწყვეტი არ არის. საქმე მარტო მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი რაოდენობის ჩაბმა და სავარჯიშო დატვირთვების მოცულობის გაზრდა (მარათონული გარბენი) როდია. აუცილებელია კვალიფიციური საექიმო ხელმძღვანელობა, დღეისათვის, აქტიურობენ რბენის მოყვარულთა კლუბები, კომუნალური მეურნეობის მუშაკები და სხვ. მათი ინიციატივა ძალზე მნიშვნელოვანი და სასარგებლოა, მაგრამ განკარგულება უნდა გასცეს ექიმმა-სპეციალისტმა. სპეციალურ ლიტერატურაში ბლომადაა იმის მაგალითები, როცა დიდი დატვირთვებით უკონტროლო გატაცებამ უარყოფითად იმოქმედა ჯანმრთელობაზე.

ი. ვაინბაუმი,
პროფესორი,
ნ. ავალიანი,
დოცენტი.

სპეციალისტის რჩევები

46-ე ჩემპიონატის ფინიშზე

დღეს, 6 ნოემბერს, მთავრდება სსრ კავშირის 46-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

„დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ (ქუთაისი)
„მეტალისტი“ (ხარკოვი) — „არარატი“ (ერევანი)
„ტორპედო“ (მოსკოვი) — „ნეფთჩი“ (ბაქო)
ცსკა — „დინამო“ (თბილისი)
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)
„დინამო“ (მინსკი) — „ფახთაქორი“ (ტაშკენტი)
„შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (მოსკოვი)
„დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)
„ნისტრუ“ (კიშინიოვი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)

რა თქმა უნდა, საყოველთაო ყურადღების ცენტრშია ცენტრალური მატჩი დნეპროპეტროვსკში, სადაც დღეს შეიძლება გადაწყდეს სსრ კავშირის 1983 წლის ჩემპიონობის საკითხი. მოხდა ისე, რომ ოქროს მედლების პრეტენდენტები „დნეპრი“ და „სპარტაკი“ სწორედ გათამაშების ბოლო ტურში ხვდებიან ერთმანეთს. სიტუაცია ნათელი და კონკრეტულია: „დნეპრს“ 47 ქულა აქვს. „სპარტაკს“ — 45. მასპინძლებს ერთი ქულაც ყოფნით ჩემპიონობის მოსაპოვებლად, სპარტაკელებმა კი, იმისათვის, რომ მეტოქეს გაუთანაბრდნენ, აუცილებლად უნდა მოიგონ თამაში. თუ ეს მოხდა, მერე დაინიშნება გადამწყვეტი, დამატებითი მატჩი ჩემპიონის წოდებისთვის (სავარაუდოა, რომ ეს საინტერესო შეხვედრა თბილისში, ნოემბრის ბოლოს გაიმართება).

მოგაწვდით რამდენიმე ცნობას ჩემპიონობის პრეტენდენტთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. სულ „სპარტაკი“ და „დნეპრი“ ერთმანეთს ეთამაშნენ 17-ჯერ. 7 მატჩი მოიგო „სპარტაკმა“, 4 — „დნეპრმა“, 6 შეხვედრა დამთავრდა ფრედ. გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებით წინ არიან სპარტაკელები — 19:13.

წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში „სპარტაკი“ და „დნეპრი“ 31 მარტს შეხვდნენ ერთმანეთს მოსკოვში. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1. ეს იყო ჩემპიონატის II ტურში.

ოსტატთა გუნდი დნეპროპეტროვსკში შეიქმნა 1936 წელს, პირველად მას ერქვა „სტალი“, შემდეგ — „მეტალურგი“, „დნეპრის“ სახელწოდებით 1962 წლიდან გამოდის. გუნდმა 1972 წელს მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, 1979-80 წლებში კვლავ I ლიგაში გადაინაცვლა, 1981 წელს კი ისევ უძლიერესთა რიგებს დაუბრუნდა.

„დნეპრმა“ საკავშირო ჩემპიონატში 1972 წელს მოიპოვა VI ადგილი და ჯერჯერობით ესაა მისი საუკეთესო მაჩვენებელი.

მოსკოვის „სპარტაკი“ ჩამოყალიბდა 1922 წელს, ახლანდელი სახელწოდებით გამოდის 1935 წლიდან, უმაღლეს ლიგაში მონაწილეობს 1936 წლის გაზაფხულიდან, I ლიგაში 1977 წელს თამაშობდა; სპარტაკელებმა 10-ჯერ მოიპოვეს სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება, 8-ჯერ მეორე ადგილი და 8-ჯერ — მესამე ადგილი.

ტრადიციები ფეხბურთში, რა თქმა უნდა, ბევრს ნიშნავს, მაგრამ წინასწარ იმის თქმა, ამ ორ კონკურენტს შორის ვის დარჩება უპირატესობა, ძნელია. არც ერთი გუნდი არ დაზოგავს ძალას წარმატების მისაღწევად.

ამ ცენტრალური მატჩის გარდა ბოლო ტურში კიდევ რამდენიმე საინტერესო შეხვედრა გაიმართება. მესამე საპრიზო ადგილისთვის იბრძვიან მინსკის დინამოელები, რომლებიც ახლა კარგ ფორმაში არიან და, ჩანს, არ გაუჭირდებათ საკუთარ მინდორზე ტაშკენტის „ფახთაქორთან“ თამაში. არანაკლებ დაძაბული ბრძოლაა მოსალოდნელი ვილნიუსში, სადაც ადგილობრივი „ჟალგირისი“ და ლენინგრადის „ზენიტი“ ცდილობენ ხუთეულში მოხვდნენ, ასეთივე შესაძლებლობა აქვს მოსკოვის „ტორპედოს“, რომელმაც თავის მინდორზე უნდა მიიღოს ბაქოს „ნეფთჩი“. დანარჩენ გუნდებს, მათ შორის კიევის დინამოელებსაც, რომლებიც შინ ღებულობენ ქუთაისის „ტორპედოს“, პირველ ხუთეულში მოხვედრის შანსი პრაქტიკულად აღარა აქვთ.

მოსკოვისა და თბილისის დინამოელები ჩემპიონატის ფინიშზე შესაბამისად მე-15 და მე-16 ადგილებზე იმყოფებიან. ორივე გუნდი თამაშობს სტუმრად, მოსკოველები დონეცკში, ხოლო თბილისელები — მოსკოვში, არმიელებთან, თუ მოსკოვის „დინამო“ დამარცხდება, თბილისელები კი გაიმარჯვებენ, ჩვენს გუნდს საშუალება მიეცემა ერთი ადგილით დაწინაურდეს, და თავის ტრადიციულ მეტოქეს გაუსწროს.

ბ. ქორიძე.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 6 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დნეპრი“	33	21	5	7	59—34	47
„სპარტ.“	33	18	9	6	58—21	45
„დინ.“ მნ.	33	16	9	8	49—33	41
„ჟალგ.“	33	15	9	9	38—35	39
„ზენიტი“	33	14	11	8	41—32	38
„ტორპ.“ მ.	33	14	10	9	40—34	38
„დინ.“ კ.	33	13	10	10	42—34	36
„შახტ.“	33	16	3	14	48—39	35
„ჩერნომ.“	33	15	5	13	40—45	35
„ფახთაქ.“	33	13	9	11	36—32	35
ცსკა	33	11	12	10	37—32	32
„მეტალ.“	33	12	7	14	38—40	31
„ნეფთჩი“	33	10	9	14	32—38	29
„არარ.“	33	11	6	16	29—47	28
„დინ.“ მ.	33	8	11	14	29—37	26
„დინ.“ თბ.	33	8	9	16	40—48	25
„ტორპ.“ ქ.	33	4	12	17	26—50	18
„ნისტრუ“	33	3	4	26	18—69	10

საქართველოს პირველობა

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი შეხვედრები.

I ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„დურუჯი“ (ყვარელი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 4:3. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: ლაკოევი—2, ტალახაძე, თინიკაშვილი („დურუჯი“), ფარულავა, ძამაშვილი, კაპანაძე (პოლიტექნ. ინსტ.).

„სპარტაკი“ (თბილისი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 1:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ბერაძე („სპარტაკი“), ჯაგოევი, უგულავა („მადნეული“).

„სპარტაკი“ (ცხინვალი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 10:6. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

გოლები: ხუბეჯიშვილი—6, ჯიოევი—2, ჩოჩიევი, მოწონელიძე („სპარტაკი“), დოლიძე—4, ქობულაძე—2 („მადნეული“).

„თორი“ (ბორჯომი) — „ივერია“ (ხაშური) 2:1. მსაჯი ი. გობრონიძე (ფოთი).

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 9:0. მსაჯი ჯ. ნოდია (თბილისი).

გოლები: ტალახაძე—7, ღონღაძე, ლომიძე.

„სამგორი“ (გარდაბანი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:2. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: გოგუაძე, ბოლქვაძე.

„სპარტაკი“ (თბილისი) — „შევარდენი“ (თბილისი) 2:4. მსაჯი ვ. ეჯიბია (თბილისი).

გოლები: ჯიშიაშვილი, ანდღულაძე („სპარტაკი“), ქობელაშვილი—3, გაბელია („შევარდენი“).

„ავტომობილისტი“ (თბილისი) — „არმაზი“ (მცხეთა) 1:1. მსაჯი ე. სილაგავა (თბილისი).

გოლები: ხიზანიშვილი („ავტომობილისტი“), სოლოღაშვილი („არმაზი“).

„ალაზანი“ (გურჯაანი) — „კახეთი“ (თელავი) 1:0. მსაჯი ჯ. ნოდია (თბილისი).

ბურთი გაიტანა მ. არევაძემ.

„ქართლი“ (გორის რ-ნი) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) 2:1. მსაჯი გ. მიქაუტაძე (ქუთაისი).

გოლები: ხანიშვილი—2 („ქართლი“), კიკნაძე (პოლიტექნ. ინსტ.).

ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი) 6:4. მსაჯი ა. კოკაია (თბილისი).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 4:2. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

თელავში ადგილობრივ „კახეთთან“ სათამაშოდ არ გამოცხადდა ხაშურის „ივერია“, გამარჯვება ჩაეთვალა „კახეთს“.

დასავლეთი ზონა

„ენგური“ (ზუგდიდი) — „სულორი“ (ვანი) 1:3. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: როგავა („ენგური“), ჯ. ვერულაშვილი—2, სულაბერიძე („სულორი“).

„ენგური“ (ზუგდიდი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 4:3. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ლაგვილავა—2, როგავა—2 („ენგური“), ბრეგვაძე—2, გურული („მაღაროელი“).

„სქური“ (წალენჯიხა) — „საპოვნელა“ (თერჯოლა) 3:4. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: მოისწრაფიშვილი-2, შეროზია („სქური“), მხატვარი-3, ფარულავა („საპოვნელა“).

„საირმე“ (მაიაკოვსკი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:0. მსაჯი მ. კობიაშვილი (გორი).

გოლები: კაკაბაძე, ფაიქიძე.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სამეგრელო“ (ჩხოროწყუ) 3:2. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: გაჩეჩილაძე, ბრეგვაძე, სევასტოპულო („მაღაროელი“), ი. სიჭინავა, ციმაკურიძე („სამეგრელო“).

„დინამო“ (ზუგდიდი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 5:2. მსაჯი თ. კოკაია (ფოთი).

„დინამო“ (გაგრა) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 3:1. მსაჯი ა. ბაჩუკაშვილი (თბილისი).

გოლები: კოჩკიანი, კაჭარავა, ენიკი („დინამო“), ოსეფაიშვილი („ბახმარო“).

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 1:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

ბურთი გაიტანა სვანაძემ.

„მზიური“ (გალი) — „კოლხეთი“ (ხობი) 3:0. მსაჯი გ. სეფიაშვილი (თბილისი).

გოლები: ზაქარაია, წულაია, ზ. კვეკვესკირი.

„მაღაროელი“ (ჭიათურა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 3:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

გოლები: ბერიძე, სევასტოპულო, გურული („მაღაროელი“), გორგოძე, სვანაძე („სამგურალი“).

„საპოვნელა“ (თერჯოლა) — „ენგური“ (ზუგდიდი) 6:0. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 3:3. მსაჯი შ. ხანიაშვილი (თბილისი).

გოლები: ბერძენიშვილი-3 („იმერეთი“), გვინეპაძე, ამბიძე, კიკნაძე („მეტალურგი“).

„შუქურა“ (ქობულეთი) — „დინამო“ (გაგრა) 1:1. მსაჯი ფ. ჯინჯარაძე (მახარაძე).

გოლები: ანანიძე („შუქურა“), კაჭარავა („დინამო“).

გათამაშების ცხრილები

აღმოსავლეთი ზონა

მდგომარეობა 5 ნოემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მეტალ.“	32	19	8	5	72—29	46
„კახეთი“	32	19	6	7	50—24	44
„ჰერეთი“	31	17	9	5	54—33	43
„შევარ.“	32	15	10	7	49—27	40
„ავტომ.“	32	15	10	7	52—31	40
„ივერია“	32	14	7	11	51—44	35
„დურუჯი“	32	13	8	11	74—56	34
„არმაზი“	33	13	8	12	49—50	34
„სპარ.“ ც.	32	15	3	14	76—65	33
„თორი“	32	11	10	11	46—49	32
„მადნ.“	33	12	7	14	60 53	31
„სამგორი“	33	9	13	11	45—41	31
პოლ. ინს.	33	6	18	9	39—50	30
„სპ.“ თბ.	33	10	9	14	65—58	29
„ალაზანი“	32	10	5	17	53—69	25
ფიზ. ინს.	31	9	7	15	41—54	25
„ქართლი“	32	7	9	16	44—85	23
„ლოკომ.“	33	2	1	29	24—126	5

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„სამგურ.“	34	19	8	7	64—30	46
„სულორი“	34	19	7	8	64—43	45
„საპოვნ.“	35	18	9	8	69—40	45
„დინ.“ ზ.	34	19	6	9	67—48	44
„მზიური“	34	19	5	10	59—39	43
„სამეგ.“	34	14	5	15	64—49	33
„დინ.“ გ.	35	13	7	15	56—67	33
„ამირანი“	34	13	7	14	57—70	33
„სქური“	34	13	6	15	50—63	32
„იმერეთი“	34	11	10	13	59—60	32
„მაღარ.“	34	12	7	15	58—55	31
„სალხ.“	34	10	11	13	50—63	31
„ბახმ.“	34	11	8	15	33—46	30
„მეტალ.“	34	10	10	14	60—54	30
„კოლხ.“	34	9	12	13	54—66	30
„საირმე“	34	12	5	17	45—54	29
„ენგური“	34	12	5	17	35—64	29
„ეგრისი“	34	10	9	15	50—57	29
„შუქურა“	34	7	9	18	50—76	23

II ჯგუფი

აღმოსავლეთი ზონა

„ჩიხურა“ (საჩხერე) — „მაშავერა“ (დმანისი) 6:1, „განთიადი“ (კასპი) — „არაგვი“ (ჟინვალი) 2:3, „ალგეთი“ (მარნეული) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 2:0, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ზარზმა“ (ადიგენი) 1:0.

დასავლეთი ზონა

„თოლია“ (ბათუმი) — „ხვამლი“ (ცაგერი) 1:1, „კოლხიდმშენი“ (ფოთი) — „კოლმეურნე“ (გულრიფში) 2:2, „ბზიფი“ (გუდაუთა) — „რაჭა“ (ამბროლაური) 2:2, „გიგანტი“ (ლაითური) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:3, „ნარუჯა“ (მახარაძე) — პოლიტექნიკური ინსტიტუტი (ქუთაისი) 1:2, „ოდიში“ (ზედა ეწერი) — „სინაკი“ (ცხაკაია) 2:1, „კოლმეურნე“ (დვაბზუ) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 3:2.

ზონალური პირველობა

„მევავეჯე“ (ქუთაისი) — „ნარინჯი“ (ნატანები) 1:2, „კოლმეურნე“ (კახათი) — „ნარინჯი“ (გონიო) 2:1, „ქიზიყი“ (წნორი) — „იორი“ (თიანეთი) 3:1, „კოლმეურნე“ (ჯავა) — „მეშაქრე“ (აგარა) 1:4, „კოლმეურნე“ (კახათი) — „ნარინჯი“ (ნატანები) 2:1, „მევავეჯე“ (ქუთაისი) — „კოლმეურნე“ (ორპირი) 3:1.

11-მეტრიანი უდისციპლინოთა კარში

წულუკიძის „იმერეთის“ ფეხბურთელი ე. ზარანდია უტიფრად მოიქცა მინდორზე. მსაჯმა იგი გააფრთხილა, შემდეგ კი, როცა ე. ზარანდიამ არ მოიშალა ხულიგნობა — იგი მინდვრიდან გააძევა. წულუკიძის სპორტკომიტეტის თავმჯდომარეს გ. ესებუას მართებს გადამჭრელ ზომებს მიმართოს უდისციპლინო ფეხბურთელის მიმართ.

მიმდინარე სეზონში მეორედ გააფრთხილეს ქობულეთის (სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ო. არობელიძე) „შუქურას“ ფეხბურთელი ა. ღონღაძე. ასევე მეორედ გააფრთხილეს წალენჯიხის „სქურის“ მოთამაშე გ. შეროზია. ამას გარდა, გააფრთხილეს მისი თანაგუნდელი დ. ჩალიგავა (წალენჯიხის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გ. მებონია).

სხვადასხვა დანაშაულისთვის გააფრთხილეს ფეხბურთელები: შ. მხატვარი და ზ. ჯანიაშვილი (თერჯოლის „საპოვნელა“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე მ. სვინტრაძე), ვ. ალანია (ცხაკაიას „ეგრისი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე შ. ჩიქობავა), ე. იოსებიანი (ყვარლის „დურუჯი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ზ. ცუკილაშვილი), ა. თოიძე (გონიოს „ნარინჯი“, სპორტკომიტეტის თავმჯდომარე კ. გუგუშვილი).

საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამართველო.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ!

დღეს, სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრებისას, გულშემატკივრებს საინტერესო გადაცემებს სთავაზობენ ცენტრალური და საქართველოს ტელევიზია და რადიო.

16 საათსა და 15 წუთიდან (თბილისის დროით) დაიწყება საკავშირო ჩემპიონატის მატჩის ტრანსლაცია დნეპროპეტროვსკიდან, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ადგილობრივი „დნეპრი“ და მოსკოვის „სპარტაკი“.

19 საათიდან საქართველოს რადიო გადმოსცემს კიევის „დინამოსა“ და ქუთაისის „ტორპედოს“, აგრეთვე, ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ შეხვედრათა რადიორეპორტაჟს.

20 საათსა და 45 წუთიდან საქართველოს ტელევიზია, ტრადიციული რუბრიკით „ევროპის სტადიონებზე“, აჩვენებს ევროპის საკლუბო გათამაშებათა მეორე წრის საპასუხო მატჩების ფრაგმენტებს.

23 საათსა და 55 წუთზე ცენტრალური ტელევიზია გვთავაზობს საფეხბურთო მიმოხილვას.

I ლიგის საგზურისათვის

4 ნოემბერს გაიმართა I ლიგის საგზურებისთვის მებრძოლ ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

კიევის არმიელებმა თავიანთ მინდორზე ანგარიშით 4:0 დაამარცხეს ლიპეცკის „მეტალურგი“, ხოლო ორეხოვო-ზუევოს „ზნამია ტრუდამ“ და ორჯონიკიძის „სპარტაკმა“ ფრედ ითამაშეს — 0:0.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

იუბილე რეკორდი როდია

ბუნდესლიგაში თავისი საიუბილეო, 450-ე მატჩი დორტმუნდის „ბორუსიამ“ წააგო დიუსელდორფის „ფორტუნასთან“ — 0:7. ამასთან გამოირკვა, რომ ეს საიუბილეო წაგება დორტმუნდელთათვის სარეკორდო როდი ყოფილა: 1978 წელს იგი მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან“ დამარცხდა ანგარიშით 0:12!

ტარანტინი — „ბასტიაში“

არგენტინის ნაკრების მცველი ტარანტინი, რომელმაც 1978 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება მოიპოვა, ბუენოს-აირესის „რივერ პლეიტიდან“ საფრანგეთის პირველი დივიზიონის კლუბ „ბასტიაში“ გადავიდა.



ᲘᲛ სპორტის სახეობებს შორის, რომლებიც პირველად შევა ოლიმპიადა-84-ის პროგრამაში, არის შეჯიბრება „ვინგლიაიდერის“ კლასში. ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების ერთ-ერთი კანდიდატია მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, რიგელი ედგარ ტერეხინი.

ახლახან სპორტსმენმა მარათონული ცურვის სტარტი აიღო რიგაში, 362,99 კილომეტრი 30 საათსა და 4 წუთში დაფარა და ტალინში ჩავიდა.

• • •

სურათზე: ე. ტერეხინი მარათონული ცურვის დისტანციაზე.

საქდესის ფოტო.

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲓᲘᲐᲜᲖᲔ

„ᲠᲔᲐᲚᲘᲡ“ ᲨᲔᲜᲐᲫᲔᲜᲘ

სახელგანთქმული მადრიდის „რეალი“ შარშანდელი საკალათბურთო სეზონის შედეგებით უკმაყოფილო დარჩა, რადგან წარმატებას ვერც ქვეყნის ჩემპიონატში და ვერც ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მიაღწია. ამ უკმაყოფილებამ გამოხატულება იმაში ჰპოვა, რომ კლუბის მესვეურებმა აღარ განაახლეს კონტრაქტი იუგოსლაველ კალათბურთელებთან დრაჟენ დალიპაგიჩთან და მირზა დელიბაშიჩთან (დიდ კალათბურთს თავი დაანება უეინ ბრაბენდერმა).

ესპანელებმა ძველ ნაცად ხერხს მიმართეს — გუნდში ამერიკელი კალათბურთელები — რობინსონი და ჯექსონი მოიწვიეს.

ᲑᲐᲠᲡᲔᲚᲝᲜᲐ — 83

ახალი საკალათბურთო სეზონის წინ ევროპაში საინტერესო საერთაშორისო ტურნირები ტარდება.

ერთ-ერთ ასეთ საპასუხისმგებლო ტურნირში, რომელიც ბარსელონაში გაიმართა, ესპანეთის ჩემპიონი „ბარსელონა“ და ვიცე-ჩემპიონი მადრიდის „რეალი“, იტალიის ჩემპიონი „ბანკო დი რომა“ და იუგოსლავიის ჩემპიონი „ბოსნა“ მონაწილეობდნენ.

პირველ ტურში „ბოსნამ“ დაამარცხა „რეალი“ ანგარიშით — 109:96. მასპინძლებმა სან-ეპიფანიოსა და სიბილიოს ზუსტი ტყორცნების შემწეობით სძლიეს „ბანკო დი რომას“ — ანგარიშით 77:67 (36:27). მეორე ტურში ერთმანეთს შეხვდნენ გამარჯვებულები „ბარსელონა“ და „ბოსნა“. მატჩი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით 104:94 (60:46) დამთავრდა. გამარჯვებულთა შორის ყველაზე შედეგიანი იყო სიბილიო (23 ქულა), სან-ეპიფანიო და სტარკი (18-18 ქულა). „ბანკო დი რომამ“ დაამარცხა „რეალი“ ანგარიშით 101:94 (52:43). უკანასკნელი ტურის შედეგები ასეთია: „რეალი“ — „ბარსელონა“ — 69:82 (35:41). „ბანკო დი რომა“ — „ბოსნა“ — 109:89 (43:47). საუცხოოდ ითამაშეს ამერიკელებმა ვიგინტმა (28 ქულა), ჯონსმა (20) და იტალიელმა ჟირარდიმ (28 ქულა). ტურნირში ადგილები ასე განაწილდა: „ბარსელონა“, „ბანკო დი რომა“, „ბოსნა“, „რეალი“.

ᲛᲔᲝᲪᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

იუგოსლავიის ქალაქ ტიტოვ ვრბასში დამთავრდა ბალკანეთის ქვეყნების კალათბურთელ ვაჟთა 25-ე ჩემპიონატი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საბერძნეთის, რუმინეთის, ბულგარეთის, თურქეთის და იუგოსლავიის გუნდები. ტურნირის ფავორიტები, რა თქმა უნდა, მასპინძლები, იუგოსლაველები იყვნენ. აღსანიშნავია, რომ ისინი ძირითადად ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშობდნენ. ეს გასაგებიცაა, იუგოსლავიის ნაკრების წინაშე ხომ მთელი სიმწვავით დგას თაობათა ცვლის პრობლემა.

მათ დაამარცხეს თურქეთის ნაკრები ანგარიშით 83:78 (41:37). ყველაზე შედეგიანი იყო ვილფანი (23 ქულა). შემდეგ ტურში დამაჯერებლად მოუგეს რუმინელებს — 112:86 (42:41), სძლიეს ბულგარელებს — 79:72 (34:34). უკანასკნელ ტურში გაიმარჯვეს საბერძნეთის ნაკრებთან 93:66 (41:36). ეს ბალკანეთის ქვეყნების ჩემპიონატში იუგოსლაველთა მე-20 გამარჯვება გახლდათ. ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ავდია, ვილფანი, ვუჩუროვიჩი, ვუჩევიჩი, ვუიაჩიჩი, გრობოვიჩი, ჟიჟიჩი, ზორკიჩი, მუტაპჩიჩი, სუნარა, ჩუტურა. გუნდი მოამზადა ახალმა მწვრთნელმა ჟ. დრგარიჩმა. დანარჩენი ადგილები ასე განაწილდა: საბერძნეთი, თურქეთი, ბულგარეთი, რუმინეთი.

ᲤᲐᲚᲙᲐᲝ-ᲙᲝᲚᲔᲒᲔᲑᲖᲔ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲖᲔ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲖᲔ...

სოფიის გაზეთ „ნაროდენ სპორტის“ კორესპონდენტი ამას წინათ ესაუბრა გამოჩენილ ბრაზილიელ ფეხბურთელს ფალკაოს, რომელიც ახლა იტალიის დედაქალაქის კლუბ „რომაში“ თამაშობს. გთავაზობთ ნაწყვეტებს ამ საუბრიდან.

— როგორ გამოიყურება, თქვენი აზრით, ყველა დროის ნაკრები ფეხბურთში?

— შემიძლია ვილაპარაკო მხოლოდ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც პირადად მინახავს: დასაევი (სსრ კავშირი), კარლოს ალბერტო (ბრაზილია) ან კალცი (გფრ), ბეკენბაუერი (გფრ), ფიგეროა (ჩილე), ბრაიტნერი (გფრ), კლოდოალდო (ბრაზილია), ოვერატი (გფრ), როჩა (ურუგვაი), გარინჩა, პელე (ორივე — ბრაზილია), კრუიფი (ჰოლანდია).

— რომელი მოთამაშე მიგაჩნიათ ფეხბურთელის ეტალონად?

— პელე! მხოლოდდამხოლოდ, თანაც ყველა დროისათვის.

— მოიპოვებენ თუ არა ბრაზილიელები მექსიკაში მსოფლიო ჩემპიონობას?

— საფეხბურთო პრაქტიკამ არაერთგზის გვიჩვენა, რომ ამგვარი პროგნოზები ფუჭია. წინასწარმეტყველის როლს ვერ ვიკისრებ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

— რატომ გადაწყვიტეთ სათამაშოდ იტალიაში და არა, ვთქვათ, ინგლისში, გფრ-ში, ესპანეთში?

— წინადადება სხვა კლუბებიდანაც მივიღე, მაგრამ ჩავთვალე, რომ „რომა“ ყველაზე უფრო შემეფერება.

— როგორია სინამდვილეში იტალიური ფეხბურთი, ამ ქვეყანაში თქვენი სამწლიანი ყოფნისას მიღებული შთაბეჭდილებები?

— იტალიის გუნდების თამაში ემყარება მტკიცე დაცვას და მკვეთრ კონტრშეტევას. თუმცა, ესპანეთში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ შეიმჩნევა აქცენტის გადახვევა შეტევაზე.

—რითი ხსნით იმ ამბავს, რომ იტალიელებმა ესპანეთში სრულიად ულიმღამო პროლოგის შემდეგ დასკვნით ფაზაში აპოგეას მიაღწიეს და მსოფლიო ჩემპიონებიც გახდნენ?

— იტალიელებს უნარი შესწევთ სრული მობილიზებით ითამაშონ ძლიერი გუნდების წინააღმდეგ. არგენტინელებთან გამარჯვებას მათთვის განსაკუთრებული მორალური მნიშვნელობა ჰქონდა. ამის შემდეგ იტალიელთა შეჩერება შეუძლებელი გახდა.

— მილიონობით ტელემაყურებელი თქვენი სიხარულის მოწმე იყო, როცა ბრაზილია-იტალიის შეხვედრაში ძოფის კარში ბურთი გაიტანეთ და ანგარიში გაათანაბრეთ. ნახევარფინალში გასვლის შესაძლებლობა რეალობად იქცა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იტალიის ნაკრებმა გაიმარჯვა. როგორ მოხდა, რომ ბრაზილია ამ თავისებურ „ფინალურ“ მატჩში დამარცხდა?

— ანგარიში კი გავათანაბრეთ, მაგრამ ჯიუტად განვაგრძობდით მოგებისთვის ბრძოლას, რაც, უეჭველია, რისკთან იყო დაკავშირებული. და აკი წავაგეთ კიდეც.

— რა განსხვავებაა „რომას“ საფეხბურთო ცხოვრებასა და ბრაზილიური კლუბების რეჟიმს შორის?

— პროფესიული თვალსაზრისით დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ ბრაზილიის კლუბები კვირაში ორ მატჩს ატარებენ, იტალიელები კი — ერთს. ეს ქმნის გარკვეულ თავისებურებებს.

— იტალიაში დარჩენას აპირებთ თუ იქვე ბრაზილიაში დაბრუნდებით? თუ ეს მეორე ვარიანტი განხორციელდა, რომელ კლუბში ისურვებდით თამაშს?

— მე „რომაში“ ვაპირებ თამაშს და არა მგონია მალე გამოვეთხოვო მას, ბრაზილიაში დაბრუნების შემდეგ შეიძლება საერთოდ დავანებო კიდეც ფეხბურთს თავი, თუმცა რაიმე კონკრეტული გეგმა არა მაქვს.

— ზიკომ „უდინეზეს“ მაისური ჩაიცვა და ამით „ფლამენგო“ და მისი გულშემატკივრები სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. სოკრატესი, პირიქით, „კორინტიანსში“ დარჩა, რითაც სან-პაულოს ტორსიდა აღაფრთოვანა. რას იტყვით ამის შესახებ?

— ყველას აქვს ნება გააკეთოს ის, რაც მას სურს. სოკრატესზე თუ ვილაპარაკებთ, იგი სან-პაულუში კლინიკის გახსნას აპირებს და სურს მთელი თავისი დრო და ყურადღება მედიცინას დაუთმოს.

* * *

ახლა კი მკითხველებს გავაცნობთ პაულო რობერტო ფალკაოს „სავიზიტო ბარათს“. იგი დაიბადა 1953 წლის 16 ოქტომბერს ბრაზილიის ქალაქ აბელარდო ლუსში (სანტა კატარინას შტატი). 11 წლისამ თამაში დაიწყო პორტუ ალეგრის ცნობილ კლუბ „ინტერნასიონალის“ ბავშვთა გუნდში. 1973 წელს ამავე კლუბთან პირველი პროფესიული ხელშეკრულება დადო. ამ კლუბში 1980 წლის აგვისტომდე დარჩა, შემდეგ გადავიდა იტალიაში და „რომაში“ ჩაირიცხა. 1975 წლიდან მოყოლებული ბრაზილიის ნაკრების წევრია. მსოფლიო ჩემპიონატზე ესპანეთში ერთ-ერთ უძლიერეს ფეხბურთელად აღიარეს. 1982-83 წლების სეზონში მისი კლუბი „რომა“ იტალიის ჩემპიონი გახდა.

პუბლიკაცია მოამზადა
გ. გამრეკელმა.

ᲛᲗᲐᲛᲡᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ

ᲜᲔᲐᲞᲝᲚᲨᲘ იქმნება მუზეუმი, რომელიც მნახველს მოუთხრობს ჰიმალაის უმაღლესი მწვერვალების დაპყრობათა შესახებ. მუზეუმს რამდენიმე განყოფილება ექნება. პირველ დარბაზში დამთვალიერებელი გაეცნობა ამ რეგიონის მცენარეულობასა და ცხოველთა სამყაროს, აგრეთვე ადგილობრივ მკვიდრთა ადათ-წესებს, მომდევნო ექსპოზიცია მნახველს გააცნობს ჰიმალაის მწვერვალებზე ლაშქრობათა ისტორიას. აქ გამოფენენ ალპინისტურ აღჭურვილობასაც. ახლა მსოფლიოს ყველა კუთხიდან მუზეუმში მოდის სხვადასხვა ექსპონატები — წიგნები, ჟურნალები, ფოტოსურათები და მთამსვლელთა პირადი ნივთებიც კი.

ᲠᲘᲗ ᲤᲐᲠᲡᲓᲔᲑᲘᲐᲜ?

ᲚᲔᲘᲙ-ᲞᲚᲔᲡᲘᲓᲘᲡ (აშშ) თეთრ ოლიმპიადაზე ამერიკელ ჰოკეისტთა სენსაციური გამარჯვებით აღტაცებულთა ზეიმს საზღვარი არ ჰქონდა. ამ წარმატების კვალდაკვალ, სახელდახელოდ მხატვრული ფილმიც კი გადაიღეს, რომელსაც საკმაოდ ხმაურიანი სათაური ჰქონდა — „სასწაული ყინულზე“. ფილმში ჰოკეისტთა როლების შესრულება ცნობილ მსახიობებს მიენდო. მაგრამ, როცა სურათი ეკრანზე გამოვიდა, „აშშ-80“-ის ოლიმპიური ნაკრები უკვე აღარ არსებობდა, ვინაიდან თითქმის ყველა მოთამაშე პროფესიონალთა (ნხლ) კლუბებმა დაიტაცეს.

და აი, ახალი ოლიმპიური სეზონი. ამერიკის სამოყვარულო ჰოკეის მესვეურები იხტიბარს არ იტეხენ. მათი მზადების მორიგი გეგმა წინა გრაფიკს ასლი და განაჭერია: კალენდარი 60 შეხვედრას ითვალისწინებს. აქ შევა მატჩები სტუდენტურ და ჰოკეის ეროვნული ლიგის კლუბების გუნდებთან.

ოლიმპიურ გუნდს სათავეში უდგას გამოცდილი მწვრთნელი ლუ ვაირო, რომელიც ბოლო წლებში ამ ქვეყნის ეროვნულ და ახალგაზრდულ გუნდებს ამზადებდა. ახლა მის განკარგულებაშია საუნივერსიტეტო გუნდების 30 საუკეთესო ჰოკეისტი. მათ შორის არიან ოლიმპიური ჩემპიონები ჯ. ჰერინგტონი და ფ. ვერკოტა. მათ მხარდამხარ გამოდიან 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილენი თ. ხირში და კ. კლეინენდორსტი.

მწვრთნელი დიდ იმედს ამყარებდა 18-18 წლის იმ სამ სპორტსმენზე, რომელიც შარშან ჩრდილო ამერიკის იუნიორთა ნაკრების რიგებს ამშვენებდა, მაგრამ ეს იმედი უკვე გაუცრუვდა: ამ საუკეთესო სამეულის წარმომადგენლები ცენტრფორვარდი ბ. ლოუტონი და მეკარე თ. ბარასო დღეს უკვე ნხლ-ის კლუბებში ამოჩნდნენ. მართალია, ამ ტრიოდან ოლიმპიურ გუნდში დარჩა პ. ლაფონტენი, რომელმაც იუნიორთა შედეგიანობის ყველა რეკორდი გააუმჯობესა, მაგრამ მასაც დაადგეს თვალი და მისი სახელი უკვე შეიტანეს ნხლ-ის კლუბ „ნიუ-იორკ ცილენდერსის“ წევრთა სიაში. ერთი სიტყვით, მწვრთნელ ლ. ვაიროს საკმარისად აქვს პრობლემები.

ᲘᲥ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲐ

ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ „ᲤᲣᲫᲘᲐ“

ᲔᲡ ᲛᲝᲛᲔᲜᲢᲘ ფოტოსურათებზეც და კინოფირზეც აღიბეჭდა. 22 წლის იაპონელი მრბოლის ტორუ ტაკახასის ავტომანქანა, რომელიც საათში 230 კმ სიჩქარით მიჰქროდა, ვირაჟში შევიდა, დაკარგა მართვა, გადაბრუნდა და ბეტონის ზღუდეს დაეჯახა. აფეთქების ხმამ იქაურობა გააყრუა, გახურებული ნამსხვრევები აქეთ-იქით გაიფანტა. ერთი ადამიანი დაიღუპა, რამდენიმე მძიმედ დაიჭრა.

ყველაფერი ეს მოხდა იმ 30 ათასი ავტომოყვარულის თვალწინ, რომლებმაც ტოკიოდან 60 კმ-ით დაშორებულ „ფუძის“ წრიული სარბოლო ტრასის გასწვრივ მოიყარეს თავი.

იაპონიაში ძალზე პოპულარული კინოფირის უდიდესი მწარმოებლის „ფუძის“ ფირმის საკმაოდ მომგებიანი რბოლის — „ფუძის ჩემპიონის“ ფინალებს ყოველწლიურად ასიათასობით მაყურებელი ესწრება. პროფესიონალთა ეს რბოლები რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი და მთელი წლის მანძილზე გრძელდება. ამჯერად მისი კულმინაცია ტრაგედიად იქცა, მაგრამ, რა თქმა უნდა, არა ფირმა „ფუძისთვის“.

(საქდესი).

„ᲡᲞᲝᲠᲢᲚᲝᲢᲝ“

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვში გაიმართა „სპორტლოტოს“ მორიგი, 45-ე ტირაჟები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: 16 (ცხენოსნობა), 21 (ცურვა), 25 (ციგაობა), 32 (ფიგურული ციგურაობა), 36 (საავიაციო სპორტი), 38 (აკრობატიკა).

„სპორტლოტო 5 36“-დან: 3 (ბობსლეი), 9 (საგზატკეცილო ველორბოლა), 15 (ბაიდარითა და კანოეთი ნიჩბოსნობა), 24 (ხელბურთი), 36 (საავიაციო სპორტი).

„ლელოს“ მორიგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 7 ნოემბერს.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97 53; ჭადრაკის — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, 380096, თბილისი — 96, ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29. ИНДЕКС 66435 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე — 07919